

ძველი ხელოვნება
ANCIENT ART TODAY

კულტურული
მემკვიდრეობის
მინისტრის
მიერ



საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის მინისტრის
მიერ



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
მინისტრის სამარხო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA



საქართველოს კულტურისა
და კულტურული ძეგლის
სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE
AND MONUMENT PROTECTION
OF GEORGIA

გამოცემის რედაქტორი:

ნიკოლოზ ანთიძე

სარედაქციო ჯგუფი:

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

გიორგი გაგოშიძე

ალექსანდრო ბაინცი

მაიკლ ლაუნბორგი

ირმა დოლიძე

ქრისტინე დარჩია

ევატერინე თაბუკაშვილი

თარგმანი: თამარ ქვლივიძე

კორექტორი: ნუცა მახარაძე

დიზაინი: სანდრო ჩხაიძე

დიზაინი-დაკაბადონება:

მაკა ცომარა

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:

მერი ელენ ჩეტვინი

Editor of the volume:

Nikoloz Antidze

Editorial Board:

Nikoloz Vacheishvili

Giorgi Gagoshidze

Alesandro Bianchi

Michael Lauenborg

Irma Dolidze

Kristine Darchia

Ekaterine Tabukashvili

Translator: **Tamar Kvividze**

Proofreader: **Nutsa Makharadze**

Designer: **Sandro Chkhaidze**

Maka Tsomaia

English text editor:

Mary Ellen Chatwin

ყდაბეჭდი: ალავერდის ტაძარი. სამხრეთი ფასადის შემკულობა
ფოტო – გ. გაგოშიძე

Cover photo: Decoration. South façade.
Alaverdi Church
By – G. Gagoshidze

დაინაზდა გვ. „CEZANNE“
PRINTING HOUSE

ეპითომე

ალავერდის საკათედრო ტაძრის სიძველეები 3

არქეოლოგია

მიკოლოზ ბაინცი, დავით ბერიძე პალი

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები ალავერდში 18

ნიკოლოზ გაიურაშვილი, მათევარ დილიაშვილი, კობა კობამრიშმ,

ნიკოლოზ ჩალუხილი, შორიშ ხელორისი, მიხე აანაშვილი

ორი ახალი სამარხი ნარევავიდან 32

მუზეუმები, კოლექციები

ირა ლოლიძე

მუზეუმ-ნაკრძალი კულტურული მემკვიდრეობის მინიმოდელი

მართვის ძირითადი ასპექტები 38

ანა ჭავჭავაძე

ბარონ დე ბაის კვალდაკვალ XIX საუკუნის საქართველო

ფრანგულ კოლექციებში 46

კვლევა

ელიაზა მიძელაძე

რკონის ციხის ეკლესიის მოხატულობა 52

ნათო გვირისარი

ემბაზი ეკითხირისწყაროს ეკლესიდან 62

ევთევან პასათიანი

თამარ მეფის ქამარი თუ თამარის სახელით მოღწეული

მორიგი ძვირფასეულობა?! 68

სალომე მელაძე

ხტანას ეკლესია და მისი მოხატულობა 74

თვალსაზრისი

ნიკოლოზ გაიურაშვილი

მცხეთის ჭვრის ინფრასტრუქტურის პროექტირების თაობაზე 84

სართული მხატვრობის ისტორიიდან

ნიკო ჭირიარაული

რომანოზ გველესიანი – მხატვარი 88

საერთო არქითექტურა

სამსონ ლეჭავა

სამეცნიერო კონფერენცია “ტრადიციული დარბაზული ხუროთმოძღვრება

საქართველოში” 102

შალვა ლეჭავა

სვანური საცხოვრებელი ნაგებობა „ქორ“ 114

საერთაშორისო ურთიერთობები და გამოცდილება

ალექსანდრ ბიანკი

ევროკავშირი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 120

პონ გელიაშვილი

ისრაელის სიძველეთა აღმინისტრაცია 124

ოსარა აითევინი

ართვინში მდებარე უძრავი კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლები და მათი მნიშვნელობა ადგილობრივი ტურიზმისათვის 128

გამოქვეყნებული მასალა გამოხატავს ავტორთა შეხედულებებს და
შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს

The published material expresses the authors' points of view and
they might not coincide with the standpoint of the editorial staff.

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები ალავერდში

გიორგი გახარაძე
ფავოთ გარიყაშვილი

არქეოლოგიური გათხრები ამბა ალავერდელი მიტროპოლიტის და- ვითის ლოცვა-კურთხევით და კულ- ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსე- ბით, ალავერდის მონასტრის ტერი- ტორიაზე, საქართველოს ხელოვ- ნების მუზეუმის ექსპედიციამ 2010 წელს დაიწყო. სამი კამპანიის გან- მავლობაში სამუშაოები მიმდინა- რეობდა: მონასტრის ეზოში, ტაძრის ჩრდილოეთი (უბანი №1, ფართობი - 240 კვ.მ) და აღმოსავლეთი (უბანი №3, ფართობი - 120 კვ.მ), აგრეთ- ვე ეკლესის ინტერიერში ასურელი მამის, წმინდა იოსების, საფლავთან, რომელიც მდებარეობს ჯვარგუმბა- თიანი ტაძრის ჩრდილოეთი მკლავის აფსიდში (უბანი №2). ძეგლის სტრა- ტიგრაფიაზე მუშაობისას ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია სწო- რედ აქ ნარმობულმა არქეოლო- გიურმა გათხრებმა მოგვცა (სურ. 1).

ალავერდის ჩრდილო აფსიდის იატაკის ზედაპირული დათვალიე- რებისას თვალნათლივ ნარმობინდა გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გამო- ყოფილი და დათარილებული სამ- შენებლო ჰორიზონტები:¹ I. იოსებ ალავერდელის XIX საუკუნის ლუს- კუმა; II. ოთხეუთხა აგურის იატაკი (XVIII საუკუნე); III. ექვსეუთხა აგუ- რის იატაკი (XVI საუკუნე); IV. აფსი- დის გასწორივ განლაგებული ფილაქ-

ნის ლოდები – XI საუკუნის იატაკის დონე.² V. ლორფინით გადახურული სამარზი, რომელსაც ჩაჭრილი ჰქონ- და იატაკის სამივე დონე (სურ. 2). ალავერდის საკათედრო ტაძრის აგე- ბის შემდეგ ეს ჩრდილოეთ აფსიდში მიცვალებულის დაკრძალვის ერთა- დერთი შემთხვევაა, რაც მიუთითებს ადგილის განსაკუთრებულ საკრა- ლურ მნიშვნელობაზე.

ყურადღებას გავაძახვილებთ ორ გარემოებაზე: I. ალავერდის ტაძ- რის ჩრდილოეთი აფსიდის ნახევარ- წრიული მოხაზულობა დანარჩენი აფსიდისგან განსხვავებით არას- წორი მოყვანილობისა (დეფორმი- რებულია);³ II. მიუხედავად იმისა, რომ გათხრების დროს სტრატიგ- რაფიულად მეაფიოდ გაიმიჯვნა XIX საუკუნის სამშენებლო ჰორიზონტი (რამდენიმე გადაკეთებისა და შეკე- თების კვალით), ეს მონაცემები არ შევიტანეთ საერთო ქრონოლოგიურ შეალაში. ძეგლის სტრატიგრაფია მიყუსადაგეთ გიორგი ჩუბინაშვი- ლის მიერ შემუშავებულ ქრონოლო- გიას, რომელიც დიდი ხანია ცნობი- ლია სამცენიერო წრეებისათვის.

ამრიგად, ტაძრის ინტერიერის I სამშენებლო ჰორიზონტი, ე.ნ. ქარ- თული აგურის იატაკი (XVIII საუკუ- ნე) მონასტრის ეზოში შეესაბამება №1 კულტურულ ფენას, რომელიც არქეოლოგიური მასალით XVIII საუ-

კუნის მეორე ნახევრითა და XIX საუკუნის დასაწყისით დათარილ- და. XVIII საუკუნეში ჩრდილო აფსი- დის ცენტრალურ ნაწილში, იოსებ ალავერდელის საფლავთან მდება- რე ცენტრალური თალი ამოაშენეს, გადალესეს და მოხატეს (ხელოვ- ნებათმცოდნე ნანა ბურჭულაძის გამოკვლევის თანახმად, კედლის მხატვრობა XIX საუკუნის დასაწ- ყის ეკუთვნის.⁴ მოხატულობის წინ მოაწყეს მართკუთხედი ფორმის პლატფორმა, რომელიც კირსხნარით გადალესეს, ხოლო პერიმეტრი “ქარ- თული” აგურით ამოაშენეს (სურ. 2, 3); როგორც ჩანს, ქართული აგურით წმინდა მამების საფლავის გამშვენე- ბა ფართოდ გავრცელდა XVIII საუ- კუნის საქართველომი. ანალოგიურა- და მოპირკეთებული XVIII საუკუნის 50-იან წლებში სამთავისის ტაძრის სამკვეთლოში ასურელი მამის, ისი- დორეს საფლავი.

I სამშენებლო ჰორიზონტის ქვეშ განფენილი ექვსეუთხა აგურის ია- ტაკი (გიორგი ჩუბინაშვილის მიხედ- ვით), II სამშენებლო ჰორიზონტი, XVI საუკუნე)⁵ ალავერდის ტაძრის ეზო- ში შეესაბამება №2 კულტურულ ფე- ნას. არქეოლოგიური მასალით იგი XV საუკუნის მეორე ნახევრითა და XVI საუკუნით დათარილდა. ამ ეტა- ზე ჩრდილოეთ აფსიდში ექვსეუთ- ხა აგური დააგეს და ცენტრალური


1. გ. ტუბანაშვილი არქიტექტურა ქახეთი, თექ. მუზეუმი, გამოცემა 1959. გვ. 371

2. გათხრების საწყის ეტაპზე ისწინი არ ჩანდა, რადგან გადაფარული იყო ექვსეუთხა აგურის ფენილით.

3. XX საუკუნის 90-იან წლებში XI საუკუნის იატაკის დონეზე ექვსეუთხა ფილების დაგებისას რესტავრატორები იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ სამუშაოები გუმბათის საყრდენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ სკეტებთან. წნააღმდეგ შემთხვევაში მთლიანად დაიფარებონდა XI საუკუნის ლილვებით შემკულ ბაზები. შეცდომის მიზნი გახდა ალავერდის ჯვარგუმბათიან ტაძრის იატაკის დახრილობა. ერთი მხრივ იგი დაქანებულია სამხრეთდან ჩრდილოეთისკენ, მეორე მხრივ, დასავლეთდან აღმოსავლეთისკენ (სიმაღლეთა სხვაობა 18 სმ) და მიმართულია ტაძრის ჩრდილოეთი აფსიდისაკენ. ეს კარგად ჩანს ბ. მჭედლებვილის მიერ შესრულებული ნაბაზებიდნაც.

4. ხელნაწერის გაცნობისთვის ავტორს მადლობას მოვახსენებთ.


5. გ. ტუბანაშვილი არქიტექტურა ქახეთი .. c. 372



სურ.1. ალავერდის ჯვარგუმბათიანი ეკლესიისა და მის ქვეშ აღმოჩენილი ნაგებობების გეგმა

თალი დეკორატიული წყობით ამოა-
შენებს. კედელში საგანგებოდ დატო-
ვეს საევლეგო ღიობი, რომელიც
ამშობოდა ქვიშაქვის ბლოკით. მოგ-
ვანებით, ამ სინმინდესთან მისაახ-
ლებლად კედელს მიაშენეს სამი სა-
ფეხური. (სურ. 4; 5). ხაზი უნდა გაეს-
ვას ერთ გარემოებას, XVI საუკუნეში
კედლით მთლიანად დაფარული არ
იყო განვითარებული შუა საუკუნეე-
ბის, ლილვებით ამოყვანილი ცენ-
ტრალური თალი და კაპიტელები.

XVI საუკუნე კახეთის სამეფოს აუგვების ხანაა. როგორც ცნობილია, მაშტაბური აღდგენით სამეშაოები აღავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე აღექანდარე კახთა მეფემ XV საუკუნის 80-იან წლებში ნამონიწყო⁶. ამ პერიოდს განეკუთვნება აღავერდის მონასტრის კარიბჭე და სამრეკლო, დასავლეთით მდებარე „მაღალი ჰა-



სურ.2 ალავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდი. II სამშენებლო პორტალზე - XVIII საუკუნე



სურ. 3 ალავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდი. XVIII საუკუნის პლატფორმა და კადელი, რომლითაც ამოშენებულია ცხრილური თაღი. პლატფორმის ქვეშ მოქცეული გელაზი

ლატი,” დიდი სატრაპეზო⁷, საკათედრო ტაძრის გუმბათი,⁸ ჩრდილოეთი მელავის მთელი ფასადი და მასზე მიღებული დარბაზული ტიპის ეკლესია (ტრადიციის მიხედვით, იმსებ ალავერდელის მიერ აგებული). XX საუკუნის 90-იან წლებში მას ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია-კონსერვაცია და ამგვარი სახით მოაღია დღემდე. დარბაზული ეკლესის თანადროულია ჩრდილო-დასავლეთით, თითქმის მიჯრით მდებარე მარანი და IX-X საუკუნეების საბრძოლო კოშკები გამართული სანნახელი (სურ. 6). ვფიქრობთ, რომ ახლად აღმოჩენილი მარანი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს 2006 წელს შესწავლილ მარანს, რომელიც საკათედრო ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, 45 მ-ის დაცილებით⁹ მდებარეობს.

აღმავლობის პერიოდი კახეთში XVII საუკუნის დასაწყისამდე, შაჲ აბას I-ის ლაშქრობებამდე, გრძელდება. სტრატიგრაფიულად XVII საუკუნის კულტურული ფენა მონასტრის

ეზოში გათხრილ ფართობზე არ დაფიქსირდა, ისევე, როგორც ტაძრის ინტერიერში არ ჩანს სინქრონული სამშენებლო პორიზონტი. თუმცა, მონასტრის ტერიტორიაზე წარმოდგენილია XVII საუკუნის ნაგებობები: მაგ. „ფეიქარ ხანის სასახლე,” მის სამხრეთით მდებარე სათავსების ნაწილი, აგრეთვე გალავნის ქვედა დონის გარკვეული მონაკვეთები. დასაშვებია, რომ XVIII საუკუნეში მშენებლებმა გამოიყენეს უფრო ძველი, ალბათ ყიზილბაშების მიერ აგებული გალავნის ნაგრევები. XVII საუკუნის არქეოლოგიური მასალის სიმნირე შეიძლება აიხსნას კახეთში შექმნილი უალრესად მძიმე ვითარებით, სეფიანთა ირანის ინტერვენციით და იმ წინააღმდეგობით, რომელიც კახეთმა გაუნია დამპყრობელს.

ალავერდის ჯვარგუმბათიანი ტაძრის აღდგენა ალექსანდრე კახთა მეფემ მისი ნაგრევებისგან განმეოდით დაიწყო. სამუშაო პროცესში წვრილი ფრაქციის სამშენებლო ნარჩენები

ეკლესის მთელ ფართობზე გაიშალა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიგო ექვსკუთხა აგურის იატაკი. ამან განაპირობა იატაკის დონის აწევა ტაძარში. ჩრდილოეთი აფსიდში ექვსკუთხა აგური დაგებულია პერიმეტრის XI საუკუნის ფილაქნის ქვებზე¹⁰ (სურ. 4), რომელიც შეესაბამება III სამშენებლო პორიზონტს. მოზრდილი ფილაქნის ლოდები ალავერდის საკათედრო ტაძრის კედლებს მთელ პერიმეტრზე შემოუყვება, როგორც გარედან, ასევე ინტერიერში, მათ შორის, გუმბათის საყრდენ სვეტებს. გამონაკლისა მხოლოდ ერთი მონაკვეთი – ჩრდილოეთი აფსიდის ცენტრალური თაღი, ასურელი მამის საფლავის ადგილი (სურ. 7). მხოლოდ XVI და XVIII საუკუნეების კედლების დემონტაჟის შემდეგ გამოჩნდა XI-XIII საუკუნეების ალავერდის ჩრდილოეთი აფსიდის, შირიმის კვადრებით ამოყვანილი, ლილვებითა და კაბიტელებით დამშვენებული თაღი. აგრეთვე მოხატულობა წმინდა გიორგის (და, შესაძლოა, ასურელი მამის) გამოსახულებით და თეძმის ტუფის რელიეფური გამოსახულებებით შემცული თაღის ქვედა რეგისტრი (ფრაგმენტულად შემორჩენილი)¹¹ (სურ. 8).

ამრიგად, ალავერდში სტაციონარულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, გაამყარა გიორგი ჩუბინაშვილის მიერ XX საუკუნეში შემუშავებული ქრონოლოგია და დაადასტურა მის მიერ გამიჯნული სამშენებლო პორიზონტების არსებობა. რაც შეეხება XVI საუკუნის ექვსკუთხა აგურის იატაკის ქვეშ განვითარებულ 25-35 სმ. სისქის სამშენებლო ნარჩენების შრეს, იგი განკუთვნება პერიოდს, როცა ალავერდი ნაგრევებადაა ქცეული, დამხობილია მისი გუმბათი, ხოლო „ცა“ (ციტატა წყაროდან) გადახურვის გარეშე დარჩენილი. ესაა ძნელბედობის უამი, სამონასტრი ცხოვრება ალავერდში ჩამქრალია და წარმართნი დაპატრონებიან ეკლესიას. მხოლოდ

7. გ. ტერეზე არქიტექტურა ... c.371
8. ალავერდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2009 წლის ანგარიშის მიმართ დაწერილ კრიტიკულ წერილში დ. თუმანიშვილი მიუთითებს, რომ XVIII საუკუნეში ჩამოიქცა არა გუმბათი, არამედ მისი „ქუდი“. იგი ალავერდის ეზოში ამჟამად თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი.
9. გ. ბოლქვაძე კ. ნერეთელი „ალავერდის მონასტრის მარანი“ ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები I. თბ., 2007. გვ. 91.
10. გ. ტერეზე არქიტექტურა ... c.371-372
11. დ. გაგოძიძე ჭ.მ. ოსებ ალავერდელის საფლავი. აღმოჩენილ ფრესკაზე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოები”. ძველი ხელოვნება დღეს. თბ. 2011. გვ. 36-39.

ასეთ ვითარებაში გახდებოდა შესაძლებელი ორივე ეკლესიაში ქვევრების „ჩაყრა“ და ასურელი მამის საფულავთან, აფსიდში გელაზის შეტანა (სურ. 3). აღსანიშნავია, რომ XVI-XVIII საუკუნეების მარნებისგან განსხვავებით, ტაძარში აღმოჩენილი ქვევრები კირით „შეაბჯრული“ არ არის, რაც მათ სიძველეზე მიუთითებს.

გიორგი ჩუბინაშვილი აღმოჩნდის ჯვარგუმბათიანი ტაძრის აგებას კვირიკე დიდის სახელს უკავშირებდა და მას ქრონოლოგიურად XI საუკუნის პირველი მესამედის ფარგლებში „ათავსებდა“.¹² ამდენად, III სამშენებლო ჰორიზონტის ქვედა ქრონოლოგური მიჯნა XI საუკუნის 30-იანი წლების ფარგლებში ექცევა. ტაძრის ეზოში №3 კულტურული ფენა, არქეოლოგიური მასალით XI-XIII საუკუნეებით თარიღდება. აქ ფართოდაა ნარმოდგენილი ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მოჭიქული ჭურჭელი. შედარებით მცირერიცხოვანია აღრეული, IX-X საუკუნეების ნიმუშთა ჯგუფი. №3 კულტურული ფენა უშუალოდაა განვითარებული წინამორბედი პერიოდის საფორტიფიკაციო სისტემაზე. მათი ნანგრევები მინის ზედაპირზე ჩანდა არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე. ცხადია, ანალოგიური ვითარება იქნებოდა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც. ამით შეიძლება აიხსნას კულტურული პლასტების ნაწილობრივი აღრევა.

აღმოჩნდის ტაძრის ჩრდილოეთ აფსიდში არქეოლოგიური გათხრების პროცესში XI საუკუნის იატაკი არ დაფიქსირდა. სამშენებლო ნარჩენების შრე აქ უფრო მძლავრი აღმოჩნდა და 50 სმ-ით ჩაცდა აფსიდის XI საუკუნის პერიმეტრის ფილაქანის ქვებს. დაღრმავების პროცესში, უკვე IV სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობების დონეზე გამოჩნდა კირხსნარით მოლესილი იატაკი და სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმართული კედლის ნაშთი (სურ. 7). ეს სამშენებლო ჰორიზონტი აღმოჩნდის ინტერიერში XX საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩნდა პ. მჭედლივილმა. მკვლევრის მიერ ნაგებო-



აღავერდის წმ. გიორგის სახ. ტაძრის

ჩრდილოეთი მელავი

წმ. იოსებ აღავერდელის სამრჩის გათხრის III დონე

ნახ. დ. ბერიკაშვილი

0 18.
სედი დასაცავებიდან



სურ. 4 აღავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდი. XVI ს-ის ექვსკუთხა აგურის იატაკი და საევლობო ლიობთან მისახლებელი საფეხურები


ბა გაზრდებულია როგორც IV საუკუნის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ირიგიტირებული წარმართული ტაძარი. ეს გულისხმობს თითქმის ექვსასწლიანი ლაკუნის არსებობას¹³.

ძეგლის სტრატიგრაფიამ მხოლოდ IV სამშენებლო ჰორიზონტის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა განსაზღვრა – XI საუკუნის დასაწყისი. მაგრამ, იოსებ აღმოჩელის საფლავთან, ჩრდილოეთ აფსიდის ქვედა რეგისტრი IV ჰორიზონტის იატაკის დონესთან აღმოჩნდა მისადაგებული. თემის ტუფის შემორჩენილი ფრაგმენტებით ვლინდება, რომ ქვედა რეგისტრი გამოსახულებებით და ორნამენტებით იყო შემკული.

ამ რელიეფური შემკულობის წინ გამოჩნდა საფლავის ქვა (სურ. 9). მხოლოდ პრეპარაციის დროს დადგინდა, რომ იგი წარმოადგენდა მტკიცე ჰიდრავლიკური ხსნარის ფენილს (საფლავის ქვის იმიტაციას). აღმოჩნდა, რომ გუმბათიანი ტაძრის ჩრდილო აფსიდის იატაკი IV ჰორიზონტის ნაგებობას განეკუთვნება. XI საუკუნის გუმბათიანი ტაძრის იატაკი ამ მოლესილობისკენ არის მიმართული როგორც ჩანს, კირხსნარის იატაკი სიწმინდედ იყო მიწნეული და ამიტომ პირვანდელი სახით შეინარჩუნეს გუმბათიანი ტაძრის სივრცეში. ამგვარი ვითარება შენარჩუნდა XV საუკუნემდე, როდესაც აღექსან-

12. გ. ტუმანაშვილი არქიტექტურა ... c.371-372.

13. იხილეთ ბ. მჭედლიშვილის ანგარიში, ხელნაწერი.



სურ. 5 ალავერდის ტაძრის ინტერიერი.
ჩრდილოეთი აფსიდი. საევლოგიო ღიობი და
XVI საუკუნის კედლის დეკორატიული წყობა

დრე კახთა მეფემ მოლესილობა სამშენებლო ნარჩენების შრით დაფარა.


IV სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობების შესწავლის პროცესში გადამწყვეტი აღმოჩნდა ალავერდის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთ ფასადთან მდებარე XVI საუკუნის დარბაზული ეკლესის არქეოლოგიური გათხრები. მისი საძირკვლის ქვეშ უფრო ძველი, თითქმის იმავე ზომის, კონტრფორსებით გამაგრებული დარბაზული ეკლესია გამოვლინდა. ალავერდის ჩრდილოეთი მელავის ფასადი, ფაქტობრივად, მის სამხრეთ კედლებზე დევს და სტრატიგრაფიულად განეკუთვნება IV სამშენებლო ჰორიზონტს. კედლების წყობაში გამოყენებულია კახეთის ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებისთვის დამახასიათებელი საგანგებოდ შერჩეული წაგრძელებული მოყვანილობის რიყის ქვები. XVI საუკუნის ეკლესის კედლები უფრო განიერია და მხოლოდ ნაწილობრივ დგას ამ

ტაძარზე. ამიტომ, შიდა სივრცეში დამატებით ეყრდნობა მინაში ჩასხულ სოლისებური მოყვანილობის ბურჯებს (სურ. 12). მათვეს გაჭრილმა ორმოებმა საგრძნობლად დაზიანა ძველი ეკლესის იატაკი. ამავე დროს, ტაძარი დაცხრილულია ადრეული შუა საუკუნეების კოლექტიური, ე.წ. საოჯახო სამარხებისა და კიდევ უფრო გვიანდელი ქვევრებისთვის გაჭრილი ორმოებით (სურ. 12). მიუხედავად ამისა, იატაკის გადარჩენილი მონაკვეთების ფიქსირება მაინც მოხერხდა. დონე სავსებით შეესაბამება გუმბათიანი ტაძრის ინტერიერში, ჩრდილოეთ აფსიდში გამოვლენილ კირხსნარით მოლესილ იატაკს. შედეგად, ტაძარში და მის ეზოში გამოვლენილი ნაგებობები ერთ კომპლექსად „შეიკრა“ და გეგმაში ორგანულად ჩაენერა დარბაზული ეკლესია (სურ. 13). ეს გამორიცხავს IV სამშენებლო ჰორიზონტისთვის შემოთავაზებულ ადრეულ თარიღს — IV საუკუნე. ფენაში აღმოჩენილი ნარინჯისფერი კერამიკა ამგვარი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციას ამგვარი ნანარმის შემცველი ოთხი სამაროვანი აქვს შესწავლილი: მოდინახე, ჯიეთი, ნინძოფელი, რგანი.¹⁴ ეს სამაროვნები იმით იპყრობს ყურადღებას, რომ შესაძლებელი ხდება თვალის მიდევნება, თუ როგორ მიმდინარეობს IV საუკუნის ზემო იმერქეში დაკრძალვის წარმართული რიტუალის ჩანაცვლება ქრისტიანულით. მოდინახეს სამარხებში ნარინჯისფერი, მსხლისებრკორპუსიანი დოქტები იმპერატორ კონსტანტინე დიდისა (306-337 წნ.) და კონსტანციუს II-ის (337-361 წნ.) მონეტებით საკმაოდ ზუსტად IV საუკუნით¹⁵ თარიღდება. ეს მასალა საიმედო „რეპერია“ გვიანანტიკური ხანის ძეგლების დასათარიღებლად. მაგრამ, აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ქართლში ამგვარი ნანარმი, მათ შორის ცნობილი მსხლისებრკორპუსიანი დოქტები, არსებობას იწყებს VI



სურ. 6 გათხრების ჩრდილოეთი №1 უბანი. IX-X საუკუნეების საბრძოლო კოშკი და
მასზე გამართული სანახელი

14. ჯ. ნადირაძე ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975. გვ. 57-58; ხ. სონდულაშვილი ჯიეთის სამაროვანი. არქეოლოგიური უურნალი IV. თბ. 2006. გვ. 74; ზ. ბრაგვაძე რგანის სამაროვანი. არქეოლოგიური უურნალი I. თბ., 2000. გვ. 107-119
15. ჯ. ნადირაძე ყვირილის ხეობის... გვ. 72-73.



სურ. 7 ალავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდი. IX-X საუკუნეების იატაკის დორნე, მნიშვნელოვანი ალავერდისა და მართლის გამშვენების ქვედა რეგასტრი და ჰორიზონალური სხარის ფრენილი

შავსე დამტკავი თხრილით. შთამ-
ბეჭდავია აღმოსავლეთის დამტკავი
თხრილი. მისი სიგანე 15 მ-ს აღწევს
(ჩრდილოეთ მონაკვეთზე მისი სიგა-
ნე 6 მ-ს არ აღმატება) (სურ.1, 14,
15). დამაკმაყოფილებელი საფორტი-
ფიკაციო სისტემის არსებობის მიუ-
ხედავად, მტერმა ალავერდის იერი-
შით აღდა მაინც მოახერხა, გადაწვა
და დააგნერია სასიმაგრო კედლები,
მათ შორის, დარბაზული ტიპის ეკ-
ლესია. ძეგლის სტრატიგრაფიული
მონაცემებით კატასტროფას ადგილი
უნდა ჰქონოდა მონასტრის არსებო-
ბის პირველ ეტაპზე, სავარაუდო,

IX საუკუნის ბოლოს – X საუკუნის
დასაწყისში.


ალავერდის ტაძრის ჩრდილოეთ
აფსიდში იატაკის საგულდაგულო
პრეპარაციის დროს მაკონდ და-
ფიქსირდა ხუთი კაბიტალური რე-
მონტისა და დაახლოებით ამდენივე
შეკეთების კვალი. იატაკების სულ
ქვედა დონეზე გამოვლინდა ოთხ-
კუთხა აგურის ფენილი, რომელიც
დაგებული აღმოჩნდა ნახანძრალი
სამშენებლო ნარჩენების შრეზე (მას-
ში ჩართული კერძიერა და კრამიტები
დეფორმირებულია მაღალი ტემპერა-
ტურის ზემოქმედებით). ეს გარემო-

აუკუნეში, ხოლო კახეთში ხმარებიდან არ გამოდის IX საუკუნემდე¹⁶. ფეფიქრობთ, ნარინჯისფერი კერამიკის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი – IX საუკუნე მისაღებია IV სამშენებლო პორიზონტის ნაგებობების ქვედა ზღვრისოფენის. ამ თარიღს მაგრძებს მონასტრის ნამოსახლარ ფეხებში გამოვლენილი IX–X საუკუნეების მოჭიქული კერამიკული ნანარმი.

ამრიგად, ალავერდის ტაძარში მის ეზოში გამოვლენილი IV სამ-შენებლო ჰორიზონტის ნაეგბობები განეკუთვნება კახეთის საქორეპის-კოპოსოს არსებობის პერიოდს - IX-X საუკუნეებს;¹⁷ ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა VIII საუკუნის დასასრულით და IX საუკუნის დასაწყისით შეიძლება შემოიფარგლოს, რაც შეესაბამება კახეთის პირველი მთავრის, ქორეპისკოპოს გრიგოლის მმართველობის ხანას (787-827 წ).¹⁸ აღსანიშნავია, რომ ეს თანამდებობა კახეთში არჩევითი ყოფილა. გრიგოლი ქორეპის-კოპოსად კახეთის, კუხეთის, გარდაბნისა და ქართლის ერისთავებმა „განაჩინეს“. იგი ძლიერი ხელისუფალია, ანტიარაბული აჯანყების ლიდერი და ქრისტიანობის მფარველი. თამამად დგამს ნაბიჯებს ბარისკენ, სადაც აქამდე არაპები ბატონიდნენ. ოსებ ალავერდელის მონასტრის აღორძინება ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია. გრიგოლმა არა მარტო ალადგინა ეკლესია და ააღორძინა სამონასტრო ცხოვრება, არამედ ალავერდი თავის ერთ-ერთ რეზიდენციადაც აქცია (სათავესის უმრავლესობა სასახლის დარბაზებს უფრო მოგვაგონებს ვიღრე ბერების სენაკებს) (სურ. 1, 13). ალავერდი ამ დროს კახეთის სამთავროს განაპირობის-დიხე-დარბაზიცადა. IX-X საუკუნეებში კახეთ-ჰერეთის საზღვარი საკმაოდ ახლოს გულგულა-თურდოს ხევზე გადის. ჰერეთის ბაგრატიონებთან კი ქორეპისკოპოსს გრიგოლს მე-გობრული ურთიერთობა არ ჰქონდა. ამიტომ არის მონასტერი გარშემორტყმული საბრძოლო კოშკებით გამაგრებული გალავნება და წყლით

16. 6. ბატონიშვილი ზ. „დოკორქის მონასტერში 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვითი სამუშაოების ანგარიში“. თბ., 2007. გვ. 35-36.

18. კაცულტი ბატონიშვილი, „აღნერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართლის ცხოვრება. IV. თბ. 1973. გვ. 557.



სურ. 9 ალავერდის ტაძრის ინტერიერი. წმინდა იოსებ ალავერდელის საფლავის ქვის „იმიტაცია“ (ჰიდროკური ფენილი)

ბა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ კომპლექსი თავისი არსებობის პირველ ეტაპზე მტერმა გაანადგურა. ძლიერი ხანძრის კვალს ატარებს IV სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობები ტაძრის ეზოშიც. კერძოდ, გალავნის ჩრდილოეთი ოთხკუთხა მოყვანილობის საბრძოლო კოშკი და მისი მინაშენი (პირობითად, ყაზარმა), ასევე, ძლიერი ხანძრით არის განადგურებული. აღდგენილია ალავერდის ადრეული შუა საუკუნეების გალავნის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთის მონაკვეთები. ამასთანავე, ძველი და

განახლებული გალავნის საძირკვლები ცალკეულ მონაკვეთებში მცირდე, მაგრამ აცდენილია ერთმანეთს. როგორც ჩანს, თავის დროზე მტერმა გალავანი საძირკვლამდე მოთხარა.

IX საუკუნის ბოლოს კახეთში დინასტიური ბრძოლა მიმდინარეობს. ერთმანეთს დონაურები და არევმანელები უპირისპირდებიან. ნაკლებად საგარაუდოა, მართლმადიდებელ მეფეს ან მთავარს ძირფესვიანად მოეთხარა ასურელი მამის დაფუძნებული ეკლესია. ვფიქრობთ, რომ ეს უფრო მუსლიმთა შემოსევაზე მიუთითებს. IX საუკუნის მინურულს შინაომით კახეთში ისარგებლა ჰერეთის მეფე გრიგოლ ჰაბამმა, რომელმაც კახეთის სამთავროს ნაწილი დაიპყრო¹⁹. როგორც ფიქრობენ, გრიგოლ ჰაბამი მონოფიზიტია და ასურელი მამის აგებული ტაძრის დანგრევა მას მკრეხელობაში არ ჩაეთვლებოდა. გაცილებით მძიმე შედეგები იქონია კახეთისთვის 908-914 წლებში საჯი ამირა აბულ კასიმის ლაშქრობამ. „ვითარ გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშნა ქუეყანა,“ - წერია მატიანეში. ამდენად, საჯების შემოსევის აღმოფხვრას წლები დაჭირდა. „მოშენება“ გულისხმობს დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენასაც. არა უგვიანეს 918 წლისა კახეთის ქრისტიანობის კვირიკე I და აფხაზთა მეფე კონსტანტინე ჰერეთში შეიქრნენ და გრიგოლ ჰაბამის მემკვიდ-



სურ. 8 ალავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდის ცენტრალური თაღი. XI-XII საუკუნეები

რე ადარნასე პატრიკი დაამარცხეს.

კახეთში დამკვიდრებული ახალი დინასტია არა მარტო სამხედრო წარმატებაზე, არამედ ალავერდის აღდგენაზეც იზრუნებდა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა მოკავშირეებმა ალავერდის მონასტერი მოინახულეს.

„...უკუმოქცეულმან კონსტანტინე მეფემან მოჭედა ოქროთი ხატი ალავერდის მთავარ მონამის წმინდის გიორგისა და შეამკო ფრიად.“²⁰ ვფიქრობთ, რომ ალავერდის მონახულების საგანგებო მიზეზი არსებობდა. კვირიკე I-მა და აფხაზთა მეფემ აღორძინებული სამონასტრო კომპლექსი მოილოცეს. არ არის გამორიცხული, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებში თავისი წვლილი აფხაზთა მეფესაც შეეტანა. ალავერდის საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთ აფსიდში, წმინდა მამის საფლავის საევლებიო ღიობთან, შემორჩენილია დარბაზული ეკლესის ჰერანგის ქვათლილების ოთხი რიგი. გეოლოგების განმარტებით, ეს ქვები დასავლეთ საქართველოდან უნდა იყოს ჩამოტანილი. ამდენად, აფხაზთა მეფე კონსტანტინე, შესაძლოა მონანილეობდა IX საუკუნის ალავერდის ეკლესის მშენებლობაში.

განახლებულ მონასტერში სახეზეა რიგი ცვლილებები და გადაკეთებები (სურ. 1). X საუკუნეში დარბაზულ ეკლესიას აღმოსავლეთიდან შირიმის სამსაფეხურიანი ცოკოლი გაუკეთდა, შირიმის ჰერანგითვე შეიმოსა ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების გასწროვ განლაგებული კონტროლორსები. ეკლესის ჩრდილოეთმა და საბრძოლო კოშკის აღმოსავლეთმა მინაშენებმა, ფაქტორივად, გააუქმეს მანამდე აქ არსებული ორი, ერთმანეთში გამავალი, დიდი დარბაზი, რომლებიც განიერი, „პარადული“ გასასვლელით აღმოსავლეთით მდებარე შიდა ეზოში გადიოდა. X საუკუნეში კომპლექსის ჩრდილოეთი მონაკვეთი თავად გადაიქცა შიდა ეზოს ნაწილად. ამ დროს დაიწყო აქ ფუნქციონირება სამაროვანმა. პარალელურად გაფართოვდა საბრძოლო კოშკის დასავლეთი, წაგრძელებული ფორმის მინაშენი (ყაზარ-

19. მ. ლორთქიფანიძე იქვე: 410
20. ვახუშტი. 1973: გვ. 798

მა?). გალავნის ამ მონაკვეთში გაუქმდა IX საუკუნეში არსებული „ცოტა“ კარი, შესაბამისად, დამცავ თხრილზე გადებული ხიდიც.

ამრიგად, ქრონოლოგიური წყვეტილი (რომლის არსებობა გულისხმობს, IV სამშენებლო პორიზონტის ნაგებობის მოაზრებას წარმართულ ტაძრად) არ დასტურდება. ნაგებობების ზედა ქრონოლოგიური მიჯნა XI საუკუნის დასაწყისით შემოიფარგლება. თეორიულად დასაშვებია, ნერევა მიწისძვრას გამოეწვია, რამაც განაპირობა ახალი ტაძრის შექმნებლობა. ნაკლებად საგარაუდო მტრის შემოსევა. გათხრების დროს ხანდრისა და განადგურების კვალი არ დაფიქსირდა. მიგვაჩნია, რომ IX-X საუკუნეებში აღავერდის კომპლექსი წინასწარი განზრახვით დაანგრიეს. ამის საფუძველს იძლევა ჩრდილოეთის დამცავ თხრილში გადაწვენილი გალავნის კედლები (სურ. 15). მათი პრეპარაციის საფუძველზე დავადგინეთ, რომ სა-

მონასტრო კომპლექსის გალავნის სიმაღლე სულ მცირე რვა მეტრს აღწევდა. XI საუკუნის დასაწყისში, კვირიკე დიდის მეფობის დროს გალავნისა და დამცავი თხრილის საჭიროება აღარ არსებობდა. ეს კახეთის სამეფოს, მთლიანად საქართველოს ძლიერების ხანაა. კვირიკე III დიდი კახეთის პირველი მეფეა და მშენებლობის მასშტაბებიც შესაბამისია. ვფიქრობთ, სამშენებლო მოედანი ახალი გრანდიოზული ჯვარგუმბათიანი ტაძრისთვის განთავისუფლდა. უფრო დარჩენილ დამცავ თხრილში გალავნის მონაკვეთების გადაქცევა პრობლემის მარტივი გადაწყვეტა იქნებოდა. უმთავრესი სიწმინდე მონასტრის ტერიტორიაზე ასურელი მამის, იოსების საფლავი იყო, რომელიც აუცილებლად მშენებარე საკათედრო ტაძრის შიდა სივრცეში უნდა მოქცეულიყო. ამან განაპირობა IX-X საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესიის დანგრევის აუცილებლობაც.


XX საუკუნეში ტაძრის ინტერიერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა V სამშენებლო პორიზონტიც. IX-X საუკუნეების კომპლექსი დგას უფრო ძველი ნაგებობის ნაშთებზე. მისი დანიშნულებისა და თარიღის შესახებ ბ. მჭედლიშვილის დღიურში კომენტარი არ არის. მხოლოდ აღნიშნულია, რომ შენობების გეგმარება ნაწილობრივ არ ემთხვევა ერთმანეთს²¹. ვითარებაში გარკვევის მიზნით განვაგრძეთ გათხრები ჩრდილოეთ აფსიდში, სადაც ასურელი მამის საფლავთან გაიწმინდა ძალიან მტკიცე პიდრავლიკური ხსნარის ფენილი (საფლავის ქვის იმიტაცია). ყველა ვარაუდით მის ქვეშ უნდა არსებულიყო სამარხის ორმო, რომლის კონტურებიც მკაფიოდ მოიხაზა ფენილის აღებისთანავე. მაგრამ მისი გათხრა ვერ მოხერხდა, რადგან ამოვსებული იყო მტკიცე დუღაბითა და მოზრდილი რიყის ქვის ლოდებით (სურ. 10). ამიტომ, კირხსნარის იატაკი



სურ.10 აღავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდი. ფენილის აღების შემდეგ გამოვლენილი პიდრავლიკური ხსნარითა და რიყის ქვის ლოდებით ამოვსებული სამარხი ორმო

21. იხილეთ ბ. მჭედლიშვილის ანგარიში, ხელნაწერი.

„გავჭერით“ ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ, აფსიდის მთელ სიგრძეზე. 80 სმ-ის სიღრმეზე, ფაქტობრივად, გრუნტის წყლების დონეზე გამოჩნდა ფილაქნის ფილებით შეკრული და გადახული ქრისტიანულად ორიენტირებული ქვაყუთების ჯგუფი და მათზე დაფუძნებული რიყის ქვით ნაშენი კვადრატული ბურჯები. (სურ. 11). როგორც ჩანს, XI საუკუნეში ალავერდის ჯვარგუმბათანი ტაძრის მშენებლებმა ამ დონემდე ჩაჭრეს კირხსნარით მოლესილი იატაკი, დავიდნენ ქვაყუთებამდე (ისევე, როგორც ეს გავაკეთოთ ჩვენ) და სავარაუდოდ, გახსნეს სამარხი. შემდეგ ორმო ამოავსეს რიყის ქვის ლოდებითა და დუღაბით. ამგვარად, სამარხი უმტკიცეს „ლუსკუმაში“ მოექცა. როგორც ჩანს, შემოწმდა ასურელი მამის საფლავის დაცულობა. ანალოგიურად მოიქცნენ XV საუკუნეში სამთავისში. მშენებლებმა სადიაკვნეში (სადაც ტრადიციის მიხედვით მდებარეობდა ასურელი მამის, ისიდორეს სამარხი) ჩაჭრეს XI საუკუნის იატაკი,



სურ.11 ალავერდის ტაძრის ინტერიერი. ჩრდილოეთი აფსიდი. IX-X საუკუნეების იატაკის ქვეშ გამოვლენილი ბურჯები და ქვაყუთები

22. დ. მერკევილაძე ალავერდის სავანის დაარსების ისტორიიდან და მისი სახელმძღვანელო შესახებ. ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები I.

გათხარეს 2 მ. სიღრმის ორმო, ჩამტვრის ქვითა და დუღაბით გადაყვანილი აკლდამის თაღი, შეაღწიეს დასაკრძალავი კამერის შიდა სივრცეში. დარწმუნდენ რა სამარხის დაცულობაში ორმო კვლავ მინით ამოავსეს.

ამდენად, სტრატიგრაფიულად მივიღეთ შემდეგი სურათი. I. IV სამშენებლო ჰორიზონტი, IX-X საუკუნეების კირხსნარით მოლესილი იატაკი და მისი თანადროული კედელი; II. V სამშენებლო ჰორიზონტი, იატაკის ქვეშ გამოვლენილი ორი კვადრატული ბურჯი ($1,30 \times 1,35$ მმ) (სურ. 16). მათ წყობაში გამოყენებული დუღაბი შეიცავს მდ. ალაზნის შლამის მინარევს, ამიტომ მოყვითალო ფერისაა და საკმაოდ არამყარი. მიუხედავად იმისა, რომ IX-X საუკუნეების კომპლექსის კირხსნარის იატაკი უშუალოდ ბურჯების თავზეა განვითნილი IV და V ჰორიზონტებს შორის სავარაუდოა ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობა. ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში საცხოვრებელმა დონემ ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე

მინიმუმ ნახევარი მეტრით მაღლა აინია, რაც განპირობებული უნდა იყოს გრუნტის წყლების დონის აწევით. მიზეზი, შესაძლოა, კლიმატური ან მიკროკლიმატური ცვლილებები გახდა. ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიური წყვეტილი უნდა შეესაბამებოდეს – VIII საუკუნეს. III. – VI ჰორიზონტი, ქვაყუთებით ნარმოდგენილი სამაროვანი, რომელზეც დაფუძნებულია ბურჯების სისტემა. მიცვალებულები ქვაყუთებში ქრისტიანული წესით არიან დაკრძალული. ეს გამორიცხავს ალავერდის V სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობების ნარმართულ ხანასთან რაიმე კავშირს. მათი არსებობის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა ქრისტიანული ხანით შემოიფარგლება. VIII საუკუნეში ალავერდის უძველესი ნაგებობებისა და „ბურჯების სისტემის“ ალორინება სირთულეებს ნაწყდებიდა (არაბი სარდლების ლაშქრობების ხანა საქართველოში).

VII სამშენებლო ჰორიზონტს ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განეკუთვნება მხოლოდ IX-X საუკუნეების ეკლესიის ქვეშ შესწავლილი მესამე, უძველესი, დარბაზული ტიპის ეკლესიის ნაშთები. მისი კედლები მკვეთრადაა გამოყოფილი დალენილი კრამიტის ფენილით, რომელიც ტაძრის მთელ პერიოდს შემოუყვება. ეკლესია ხელთარსებული მასალის გამოყენებით, სადაც არის ნაშენი. წყობაში შერჩევის გარეშეა გამოყენებული რიყის ქვა, შერეულია ფლეთილი ფილაქნი, რაც სრულიად არატიპურია ალავერდისთვის. IX-X საუკუნეების და XVI საუკუნის ეკლესიები ამ ტაძრის ფორმასა და ზომას იმეორებს. ეს ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ყველაზე ძველი ნაგებობაა და გუმბათიანი ტაძრის ინტერიერში შეესაბამება სამაროვნის - ქვაყუთების დონეს (სურ. 17).

იოსებ ალავერდელის „ცხოვრების“ თანახმად, ასურელი მამა ალაზნის ველზე უკაცრიელ ადგილზე იწყებს მოღვაწეობას: „ესე დაემკვიდრა მას შინა ადგილთა უდაბნოთა უშენოთა და უვალთა კაცთაგან და უნაყოფოთა²².“ მეუდაბნოების ცხოვრების დონეს (სურ. 17).


ბა ალავერდში ერთმა „ღვთის კაცმა“ ("კაცი ვინძე სამეუფო") დაარღვია, რომელიც ნადირობისას მოულოდნე-ლად გადააწყდა იოსებ ალავერდელს. დიდგვაროვანმა „გულისხმა-ჰყო სინ-მინდე მისი..“ „რამეთუ იყო გონიერ კაცი იგი..“ და ალთემა დადო ამ ად-გოლას ღვთის სადიდებლად ტაძარი აღმართა. წმინდა იოსებმა „დაუც-ხრომლად სწავლითა თვისითა მრა-ვალი მოაქციონა, ვიდრემდის ურ-ნიშნოება სრულიად ნარდევნა და ღვთისა მსახურება ესრეთ პატიოს-ნად ააღორძინა და ადგილი ესე გა-ნავრცელა კაცთა მიერ და აღავსო კურულითა სულიერითა.“ ალავერ-დელი მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ: „ყოვლადმოლვანე გუამი მი სი დაიდვა ამასვე მონასტერსა²³. თუ გმოვლენილ დარბაზულ ეკლესიას ასურელი მამების ხანას – VI საუკუ-ნეს დავუკავშირებთ, იოსებ ალავერ-დელი უნდა იყოს ამ ტერიტორიაზე დაკრძალული პირველი მიცვალებუ-ლი. ერთადერთი ადგილი, რომელიც უძუალოდ უკავშირდება უძველეს ეკ-ლესიას არის ალავერდის გუმბათიანი ტაძრისჩრდილოეთ აფსიდში მდებარე პიდრავლიკური ხსნარის ლუსკუმა-ში მოქცეული სამარხი. ალავერდის ჩრდილოეთი მკლავის XVI საუკუნის ფასადი დაფუძნებულია არა საძირ-კელზე, არამედ სოლის მოყვანი-ლობის ბურჯებზე (ისევე, როგორც XVI საუკუნის დარბაზული ეკლესია). ამიტომ, ადვილად შევალნიეთ საკა-თედრო ტაძრის ფასადქვემა სივრცე-ში. თითქმის მთლიანად გამოვაჩინეთ უძველესი დარბაზული ეკლესიის სამხრეთი კედელი, რის შედეგადაც გამოჩნდა მასთან მიკრით გაჭრილი ორმოს, ლუსკუმის ჩრდილოეთი კიდე (სურ. 18).

ლუსკუმაში ჩართული სამარხი ალავერდის ტერიტორიაზე დაკრძა-ლულ პირველ მიცვალებულს ეკუთ-ვნის. სამაროვანი შემდეგ, სამხრეთი მიმართულებით ვითარდება და უძ-ველესი ეკლესიის სამხრეთი კედელი მისი ჩრდილოეთი საზღვარია. მარ-თალია, დუღაბის სიმტკიცის გამო ორმოს გათხრა შეუძლებელი გახდა, მაგრამ მის მიერ დაცულ სივრცეში

შეღწევა ექსპედიციამ მაინც მოახერ-ხა. №3 ქვაყუთის შესწავლის დასრუ-ლებისთანავე სამხრეთიდან ჩავხსე-ნით მეზობლად დაკრძალული, რი-გით მეორე მიცვალებულის ქვაყუთის ფილაქნი და დუღაბით დაფარულ ფასაკრძალავ კამერაში შევაღწიეთ (როგორც ჩანს, XI საუკუნეში გაჭ-რილი ორმო საჭიროზე დიდი ზომის აღმოჩნდა. ამიტომ, დღის სინათლე ორმა ქვაყუთმა იხილა. შესაბამი-სად, კირ-დუღაბითა და რიყის ქვე-ბით ორი სამარხი დაიფარა. (ძირითა-დი ყურადღება ჩრდილოეთ ქვაყუთს დაეთმო, რომელიც მთლიანად მტკი-ცე ლუსკუმის სივრცეში მოქცა).


არ გამოვრიცხავთ, რომ №2 სამარ-ხი ეკლესის აღმშენებელ დიდებულს ეკუთვნოდეს, რადგან სწორედ აქ აღ-მოჩნდა შესანიშნავად ნახელავი ოქ-როს საბეჭდავი ბეჭედი ჯვრის, გარ-სკვლავისა თუ მზის გამოსახულებით (სურ. 19). მის ზუსტ პარალელს, ჯე-ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ბეჭედი მსგავსია IV-VII საუკუნეების ბიზან-ტიური ნიმუშებისა. ეს ერთადერთი არტეფაქტია, რომელიც სამაროვნისა და ქვედა სამშენებლო პორიზონტის თარიღს გვაზუსტებინებს.

ამრიგად, აქეოლოგიური და წე-რილობითი წყაროების მონაცემები, ძირითადად ერთმანეთს შეესაბამება.




სურ.12 XVI საუკუნის ეკლესიის ქვეშ მდებარე IX-X საუკუნეების ტაძრის ნაშთები. მოჩანს სოლისებური მოყვანილობის საყრდენი ბურჯებიც. აღრეული შუა საუკუნეების კოლექტიური „საოჯახო“ სამარხები

23. დ. მერკევილაძე ალავერდის... გვ.11.




სურ.14 გათხრების ჩრდილოეთ უბანი. IX-X საუკუნეების გალავნის მონაკვეთი, საბრძოლო კოშკი, „ყაზარმა“ და დამცავი თხრილი



სურ.13 აღავერდის ტაძრის ქვეშ გამოვლენილი კომპლექსის გეგმა და IX-X საუკუნეების ეკლესია

თავდაპირველად შენდება დარბაზული ეკლესია, მის სამხრეთ კედელთან იყრძალება იოსებ ალავერდელი და ფუნქციონირებას იწყებს სამაროვანი. იგი მხოლოდ სამხრეთისკენ ვითარდება. რაღაც ეტაპზე ეკლესის გარშემო ჩნდება ბურჯების სისტემა და შენდება ნაგებობები. ამ ეტაპზე იოსებ ალავერდელის საფლავთან სამხრეთიდან მისახლებლად მლოცველებს ბურჯებს შორის უნდა გაევლოთ (სურ.17). შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს, სტოას, გარშემოსავლელის თაღნარის ნაშთებია. მაგრამ, ბურჯების სისტემა ვრცელდება, როგორც დასავლეთისკენ, ასევე სამხრეთისკენ. თავისი მასშტაბით ეს ნაგებობები IX-X საუკუნეების კომპლექსსა არ ჩამოუვარდება. როგორც ჩანს, VII საუკუნეში მიმდინარეობდა კომპლექსის განვითარება, რაც იოსებ ალავერდელის ცხოვრებაშია დაფიქ-სირებული. იმ განსხვავებით, რომ ეს პროცესი იწყება ასურელი მამის სიკედილის შემდეგ. მასშტაბურმა მშენებლობებმა განაპირობა სამაროვნის ფუნქციონირების შეწყვეტა. როგორც აღინიშნა, V ჰორიზონტის



სურ. 15 გათხრების ჩრდილოეთი უბანი. IX-X საუკუნეების გალავნის მონაკვეთი და თხრილში გადაქცეული გალავნის ფრაგმენტები

ძურჯები ქვაყუთებზეა დაფურნებული. აღმავლობის პერიოდს მიწისძვრა ან არაპთა შემოსევები ასრულებს.

ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს (ისევე, როგორც გარეჯის ლავრის, დოდორქის, იყალთოს, სამთავისის, ქასურის) ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემს ასურელი მამების მოღვაწეობის შესახებ. ესაა საქართველოს ისტორიის მეტად საინტერესო და დრამატული პერიოდი. ვახტან გორგასლის სიკვდილიდან მოკლე დროში სასანური ირანი ახერხებს სამეფო ხელისუფლების გაუქმებას აღმოსავლეთ საქართველოში. გარდატეხა იდეოლოგიურ ბრძოლაშიც ვლინდება. უპირატესობა მაზრავანობის, ზოგადად წარმართული რელიგიის მომხრეთა მხარეს გადა-

დის. წყაროებიდან კარგად ჩანს, როგორ „ნარბინია“ ქართველი ერისთავები ირანულმა ხელისუფლებამ²⁴. მაგრამ, „ნელ-ადრე შეერბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“.²⁵ იგი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ქრისტიანობის აღორძინებისათვის. იდეოლოგიური ბრძოლის სათავე-


ში ასურელი მამები დგანან. ისინი ფეოდალებად ქცეული ერისთავების მხარდაჭერით სარგებლობდნენ (მაგ. იოსებ ალავერდელი და დავით გარეჯელი). „ერისთავნი იგი თვის-თვისასა საერისთაოსა შეუცვალებელად“ მართავენ²⁶, მათ სათავეშია არა მეფე, არამედ დიდი ერისთავი (resp. ერისმთავარი), რომელიც თვითონ აირჩიეს



სურ. 16 IX-X საუკუნეების მოლესილი იატაკის ქვეშ აღმოჩენილი ბურჯი, რომელიც დგას წინამორბედის პერიოდის ქვაყუთებზე

- 24. ილ. აბულაძე ევსტატი მცხეთელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურას ძეგლები. ტ. I თბ., 1971-68. გვ. 32.
- 25. ილ. აბულაძე. ევსტატი მცხეთელის... გვ. 95.
- 26. ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი... გვ. 217.

ალავერდი VI-VII საუკუნეების
არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით
ნახ. ფ. შერიკაშვილი



სურ.17 ალავერდის VI-VII საუკუნეების ეკლესია, ბურჯების სისტემა და ტაძრის ინტერიერში
მდგრად ლუსკუმა



სურ.18 წმინდა იოსებ ალავერდელის სამარხის ლუსკუმა. ხედი ჩრდილოეთიდან


და რომელიც პირველია თანასწორთა შორის. VI საუკუნის ბოლოს ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოს გათავისუფლებით, სახელმწიფოებრიობის აღდგენითა და ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებით დასრულდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ალავერდის ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა და მისი მონასტრიად ჩამოყალიბება.

ამრიგად, ალავერდის მონასტრის ქრონოლოგია-პერიოდიზაცია ასე გამოიყრება:

1. I ეტაპი - VI-VII საუკუნეები. იგი ორ საფეხურად იყოფა. ასურელი მამის მოღვაწეობისა და დარბა-

ზული ეკლესის აშენების პერიოდი. მეორე საფეხურზე იწყება აღმავლობის ხანა და ალავერდის ლავრად ჩამოყალიბება, რასაც მოსდევს კომპლექსის ნგრევა და ქრონოლოგიური წყვეტილი. ამ პერიოდში სამონასტრო ცხოვრების აღმონაცვლების მცდელობაც არ ყოფილა. ვფიქრობთ, რომ კრიზისი შეესაბამება არაბთა ბატონობის ხანას.

2. II ეტაპი - IX-XI საუკუნეების დასაწყისი, ასევე ორ საფეხურად იყოფა: VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში, ქორეპისკოპოს გრიგოლის მმართველობის დროს ხდება სამონასტრო



სურ.19 წმინდა იოსებ ალავერდელის ლუსკუმის გვერდით მდგრად №2 სამარხში
აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი

- კომპლექსის აღდგენა და სამონასტრო ცხოვრების აღმონაცვლება, რასაც მტრის შემოსევა ანადგურებს. X საუკუნის დასაწყისში კვირიკე I-ის დროს იწყება აღმავლობის ახალი ეტაპი, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში სრულდება.
3. III ეტაპი - XI საუკუნის 30-იანი წლები. კვირიკე III დიდი, კახეთის პირველი მეფე იწყებს ალავერდის გუმბათიანი ტაძრის მშენებლობას და აფუძნებს საეპისკოპოსო კათედრას. აღმავლობის მორიგი პერიოდი XIV საუკუნდე გრძელდება.
 4. IV ეტაპი XVI საუკუნის 80-იანი წლები - XVII საუკუნის დასაწყისი, როდესაც ალექსანდრე კახთა მეფე კვლავ იწყებს განადგურებული მონასტრის აღდგენას. ეს პერიოდი შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებამდე გრძელდება.
 5. V ეტაპი XVIII საუკუნის მეორე ნახევარი XIX საუკუნის დასაწყისი.
 6. VI ეტაპი XIX საუკუნე, რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდი.

ფოტო - მამა იოსებ (ლვინიაშვილი)

SUMMARY

NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES IN ALAVERDI

GIORGİ MAKHARADZE
DAVID BERIKASHVILI

In 2010 archeological excavations were carried out in the Alaverdi Monastery complex. Over three periods work was conducted in the Monastery yard and the Church interior, near the grave of the Syrian Father, Saint Joseph. While examining the monument's stratigraphy, important information came to light. The 1st construction horizon of the church interior corresponds to the #1 cultural layer in the yard of the monastery, dated as the second half of the 18th c and 19th c, based on archaeological materials found. When removing the 'platform' while examining a hexagonal brick floor located under the 1st construction horizon, two steps leading down were discovered, which had been gradually covered over by the platform.

The #2 cultural layer belongs chronologically to the second half of the 15th c and corresponds to the 2nd construction horizon in the yard of Alaverdi Cathedral. The gate of the Alaverdi Monastery complex with its bell-tower, "high palace" and large frater—as well as the dome of the Cathedral from the 11th c, the entire façade of the north branch and the adjoin-

ing hall church—also date from the second half of the 15th c. The wine cellar to the northwest of the hall church, closely adjoining it, as well as the wine-press facilities located on the 9th -10th c defense tower belong to the same period.

The oldest dating for the 3rd construction horizon is the decade of the 1030s, with the #3 cultural layer in the church yard, dated at 11th to 13th cc, and synchronous to it. Glazed crockery of various colors was found throughout this layer of a former settlement. There are also samples characteristic of the previous period, the 9th and 10th cc. The #3 cultural layer was found directly over the wall and structures of the older period. It is most probable that their ruins were visible in the High Middle Ages.

To determine the date of the 4th construction horizon, archeological excavations in the 16th c hall church near the north façade of Alaverdi Cathedral proved decisive. Under its foundation, an even older hall church of nearly the same size was discovered, strengthened with counterparts. The face of the north branch of Alaverdi actually rests on its south wall and stratigraphically refers to the 4th construction

horizon. Selected oblong boulders that were characteristic of Early Middle Age monuments in Kakheti, were used in the wall masonry. The structures of the 4th construction horizon identified in the Alaverdi Cathedral and yard correspond to the period of the Kakheti principality in the 9th and 10th cc. The walls of the 9th – 10th c complex and its mortar floor are located on the oldest – 5th construction horizon—in Alaverdi. This permits dating to an even earlier period. Importantly, ceramic fragments with a glossy orange surface found here were common in East Georgia in the 8th and 9th cc..

Archeological excavations carried out in the Alaverdi Monastery complex confirm information from Georgian written sources on the activities of the Syrian fathers. The 'Conversion of Kartli' relates the beginnings of the struggle for restoration of nationhood and the revival of Christianity. The Syrian fathers, supported by the lords, were the leaders of an ideological struggle. By the end of the 6th c this process led to the liberation of East Georgia, the restoration of nationhood and the victory of Christianity.



ISSN 1987-6351



A standard linear barcode is positioned within a white rectangular area. The barcode consists of vertical black lines of varying widths.

9 771987 635004